

1903 1903 1903
1903 1903 1903

ԱՐԵՎՈՅ



GAROULIS 1903

ԳԵՂԵՑԵՐՈՒ 1903

უფრნალ „ჯეჯილისა“

83

I ჩემი დედოფალი ლექსი — შ. მღვმელისა	3
II საშობაო გოჭი — ს. ციცაშვილისა	6
III მწევარი და კურდლელი (იგაე) — ალ. შირანაშვილისა . .	19
IV თაგუნა, ჩიტი და ძეხევი (ცრიმის ზღაპარი) — თორნიკესი. .	20
<u>V</u> მოხუცი მართა (საშობაო მოთხრობა) ურანგულიდა — გნ. ან. ამილახვიასა	22
VI საუბარი ცხოველებზე პოლბერისა — კოტესი.	26
VII მონაცირე — თ. რზიგაშვილისა	29
<u>VIII</u> ნარგიზი და ეხო (ოვრდისუსიდან) — ა. უუმისთაველისა . .	40
IX უფრთო ცხოველები: ზლეის კიბო და ობობა — ვაკესი	45
X წერილმანი: ანდაზები, გამოცანები, ჩქარა-გამოსათქმელი, რებუსი დ. სხვ.	48
XI მთელი წლის საჩჩევი	52
XII განცხადებები	58



თანახმათ მათი ყოვლად უსამღვდელოესობის სა-
ქართველოს ეგზარხესის დამტკიცებისა, თფილისის სა-
ეპარქიო რჩევამ, 17 ოქტომბერს, 1897 წ. გადა-
წყვიტა ქართული საყმაწვილო უფრნალი „ჯეჯილი“
საქართველოს ეპარქიის სამრევლო სკოლებში მიღე-
ბულ იქმნას სახმარებლათ.





№ XII

ჭილიჯაყი გეთოთხევის



ტბილისი

სტამბა ტ. პ. როტიანანცისა, № 41 | თბ. Т. М. Ротианица, Гол. пр. № 41
1903



Дозволено цензурою. Тифлисъ, 6-го Декабря 1903 г.

ჩემი დედოფალი.



ე მყავს ციცნა დედოფალი
სულ პატია, პატაწეუნა,
აგერ მიმაქვს მასთან ჩაი,
ვეჭვობ, თუ არ დამიწუნა.

148.
არ გეგონოთ, გენაცვალეთ,
რომა მყავდეს ავ-ზნიანი,
რა გქნა ლუვარს ჩაი ქუქნას
ხან ლრძეო, ხან რძიანი...

თუ რომ სუფთად არ ჩავაცვი
არ მისკენებს სული, გლელი,
ეხლაც ლნდა დავურეცხო
ჩემს კოპტიას თეთრეული.

გავსწურო და საჩქაროზედ
გაბმულ თლეზე გადავფინო,
სარეცხს ცუგო მოვლუენო
და მე სახლში შევირბინო,
რომ შევლდგე საჭმლის ხარშვას,
როგორც კარგი მზარეული



ମୁଖିଶ୍ଵିଦ୍ୱୟେ, ରାତ ପତ୍ରିଗାନ
ଶିରାଜୁରି, ଗାର୍ଜେଲୁଣି...

სადილს მორჩა. ახლა უნდა
გასეირნო გრილო-გრილო,
სადაც ჩერო დაიღევა
სამზეურით მოვუჩრდილო.

საღამოზე ისეგ ჩაით
უელი ჩავუკლელოზინო;
გავხადო და ტკბილის ნანით
სარეცელში ჩავაწვინო.

თქვენ გვინიათ ამით მოვრჩი?
არ მოგიყვდეთ ჩემი თავი!
ახლა უნდა ლამფის შუქზე
ვყერო მისი საკერავი.

დაფლეთილს ხომ არ ვატარებ,
არც მოხდება, არც იქნება!
ერთის სიტყვით დღე და ღამე
სულ არა მაქვს მოსვენება...

შ. მლეიმელი.



საზოგაო გოჭი.



მცდა ოთხს ქრისტეშობისთვეს სო-
ჯელში სადღესასწაულოთ წამიევანეს
დედ-მამამ. ამ სოფელში თითქმის უკ-
ლას ჭეავდათ ზოგს საძობაო ღორი,
ზოგს კარგი გასუტებული ბურვავი
და ზოგსაც პატარ-პატარა გოჭები.

ვისაც არა ჭეავდა უკანასკნელ გროშებს აგროვებდა და
ეიდულობდა, რადგან ძობა უღორ-უბურვაკ-უგოჭოთ ვერ
წარმოედგინა. აქევიტინდა ჩვენი საგანგებოთ საძობაოთ გა-
სუტებული გოჭი და თითქო ჩვენ გველოდნენო, ჩვენსას
სმა მისცა მთელი სოფლის ღორ-ბურვაკ-გოჭობამ. ჩააწეი-
ნა ჩვენმა მზარეულმა დაქლული გოჭი გობში და გადაას-
ხა ადუღებული წეალი; მზარეულს მოეშველა მეჯინიბე ან-
ტონაც და დაუწეუს ფუფქვა. მზარეული პირში ნერწევ-მო-
რეული აღტაცებით ეკითხებოდა მეჯინიბეს.

— რას ატეობ, ანტონ, ძალიან მსუქანი გოჭი უნდა
იყოს, არა?

— მმ... წაიზმუქუნა ანტონამ, რომელსაც არ უუგარდა
უბრალო ლაპარაკი.

— სოქეი, ანტონ, რას ატეობ, მსუქანი იქნება თუ არა?
არ ეშვებოდა მსარეული.

— როცა ვჭამ მამინ გიტევი! აუჩქარებლივ მიუგო ან-
ტონამ და თან გააბოლა ჩიბუჭი.

ჩვენ ბავშები მოუსვენრათ დავრიბოდით სამხარეულოდან
სასადილო ოთახში და დიდის სისარულით ვათვალიერებ-
დით, როდესაც თავ მომწონეთ დასცეკროდა მსარეული სა-
მობაოთ შემწვარ მსუქან გოჭის. შემოვიდა დედაც და სია-
მოვნებით გადახედა გაბუტკუცუნებულ გოჭის.

— რა მშვენიერი გამოსულა! წარმოთქა დედამ:

ჩვენს აღტაცებას საზღვარი არა ჭირნდა. მხოლოთ ერ-
თი მამა-ჩემი შესცეკროდა საშობაო გოჭის გულ-გრილათ და
დასცინოდა ჩვენს აღიაქოთს

„შობამან შენმან ქრისტე ღმერთო...“ გაისძა ჩვე-
ნი დადგლის გალობა და მთელი ოჯახობა, მოსამსახურებია-
ნათ, შეიკრიბა ერთ ოთახში, რომ დადგლისავან საშობაო
ლოცვა-ჯურთხევა მიეღოთ. გვაკურთხა მდვრელმა და გამო-
გეოთხოვა. ამავე დროს ვაისმა გულშემსარავი უვირილი მსა-
რეულისა.

— გაიმე! რაღა ვქნა! გოჭი ვიღამაც მამარა.

შეუცვივდით სამსარეულოში და წარმოიდგინეთ! გო-
ჭის ადგილს მხოლოთ ცალიერი თაბახი-და იუო.

შეიქნა ერთი ალიაქთი! ვინ მოიპარა, სად გაქტრა ჩვენი
შემწვარი გოჭი — ვერავის გამოერკვია. უველას ჰქონდა სადღე-
სასწაულოთ მომსადებული საკლავი ჭ მერე შობა ღამეს ვინ
გაბედავდა მოპარვას! დედა-ჩემი საძინლათ სწუხდა ამ შემთხ-
ვევას, მზარეული ხომ თითქმის ტიროდა; თავი და თავი
ის იუო, რომ მეტათ ვვიან იუო და მეორე გოჭის კეთე-
ბას მთელ ღამეს მოუნდებოდენ.

— ნეტა თუ ვინ იზამდა ამ საქმეს! გაიძახოდა გაკვირ-
ვებული დედა ჩემი. და ათვალიფრებდა განჯინას, იხედებოდა
მაგიდას ქვეშ; მზარეულის სკივრიც კი გაჩჩრიკეს, მაგრამ
გოჭი არსად გამოჩნდა:

— მხოლოთ ერთის წუთით, ქალბატონო, ერთის წუ-
თით შემოველ, რომ მღვდლის ლოცვა-კურთხევა მიმედო
და ასე უცებ გაქტა... მომარეს, წუწუნებდა მზარეული.

— ვინ მოიპარამდა, რას ამბობ! გაოცებით გაიძახოდა
დედა და თან ანტონას უურებდა, თოთქო მისგან ელოდა
ამ საკირველი ამბის ასენას.

— მართალია, ქალბატონო, დაიკარგა, წარმოთქვა ან-
ტონამ, მაგრამ-კი არ მოიპარეს — წაიღეს...

— როგორ თუ წაიღეს! ვინ წაიღო?

— «ი მან!» ჩურჩულით წარმოთქვა ანტონამ და ბუხ-
რისკენ დაიწეო ცქერა.

— «ი მან!» წერწუნით და შიძით გაიმეორა შეარეულა-
მა! დაგვიჩენ, მაცხოვარო მხსნელო!..

«მაცხოვარო მხსნელო»-ს შეარეული მხოლოთ იმ
დროს იტეოდა ხოლმე, ოოუა დიდი გაჭირება ადგა და
აძირომ მე მოელ ტანში შიძის ქოუანტელმა დამიარა.

— ვინ «ი მან?» დაკითხა დედა-ჩემი გაოცუბით.

— ალმა, ქალბატონო, ვინ იქნებოდა თუ არ ალი?
აგერ რამდენი სანია ვამჩნევ, რომ საბმელსა და ბოსელში
დანავარდობს და შიძით ვერ გავამსილე ბატონთან, რადგან
ვიცოდი არ დამიჯერებდა! უპასუხა დედა-ჩემს ანტონამ და
შიძით აქეთ-იქით ცტერა დაიწუო.

— ნუ სულელობ, ანტონ, ალი ქვეუნათ არ არსებობს.
ეგ ტყუილი მოგონებაა. უპასუხა დედამ.

— არ არსებობს!.. წაიბუტისუტა გაჯავრებით ანტონამ,
— როგორ არ არსებობს, როდესაც თვითონ ჩემის თვალით
ბარე სამჯერ მინახავს. ერთხელ კისერზედაც შემახტა და
კინაღიმ დამახრიო და თქვენ იძახით — არ არსებობსო. მაშ
თქვენის აზრით ვინ წაიღო გოჭი?

— ჩვენთან არს ღმერთი! ჩვენთან არს ღმერთი! გაიძა-
ხოდა შეარეული.

— ნათლის წეალი მოგასხათ აქეთ-იქით, ქალბატონო,
ეგება იმ უწმინდურმა ისევ მოიტანოს გოჭი! ჩაერია გადიაც.

თასაკვირველია ეს რჩევა არავინ დაიჯერა. შემოვიდა
მამაც.

— რა ალიაქოთი აგიტებიათ — დაიუვირა მამა-ჩემბა — ალბათ ვისაც ჩვენსე უფრო შიოდა გოჭი იმან წაიღო! გა-ასავეთ ლაპარაკი და მალე მეორე გოჭი დაჭვალით.

ამის წინააღმდეგ აღარავის რა უთქამს და მალე შე-უდგენ მეორე გოჭის დასაკლავათ შესადებას, მაგრამ პირვე-ლი გოჭის უცნაურათ დაჭარგვის მითქმა-მოთქმა-კი ამითი არ გათავებულა.

II

ჩვენ, ბავშებს, ანტონას სიტუაციი გულში ჩაგვიჩა. — რა-საკურველია გოჭი მოიარა ალმა! ვეუბნებოდით ერთმანეთს. ამას გარდა გადამ ისე აგვიწერა ალის სასე, რომ კარგ ნაც-ნობსავით წარმოდგენილი გვქონდა: პატარა მოკუნტული მოსუცი, ეშმაკურის თვალებით, სან მასეარა და სან საძი-ნელი ბოროტი, სულ ბალნით შემოსილი და ბუხრებში ძროშიასგან გამავებული. ამას გარდა თავზე ორი პატარა რქით, სან უჩინარი და სან ცხადი. მასეარაობაც რო ჰყა-რებია — ვფიქრობდი გულში. — ანტონას შეჯდომია კისერზე და ვითომ ახრჩობდა და-კი არ დაუხრჩა!

— ალი, შეილო, ნათლისლებამდის არის საშიში, თო-რეს მერე კრავით უწეინარი ხდება, გვიამბობდა გადა დი-დის თავ-გამოდებით. — ალი არც ისე საშიშა, რომ იმის

შიშით სახლიდან გავიქცეთ, მხოლოთ უნდა ვეცადოთ, რომ არაფერი ვაწევინოთ.

მაგრამ ჩვენ არათებთ გვიამებოდა ალთან მეგობრულათ ცხოვრება და გოჭის დაკარგვის დროდან მარტო ოთახში ვეღარ შევდიოდით. ისე გვეჩვენებოდა, თითქო ეოველ კუთხეში გამოჭიმულიერ მოკუნტული, ბურძელიანი ბერიკაციალი და ეშმაკურის თვალებით შემოვცეულებდა.

შობა დამეს, თითქოს ჩვენ ჯიბრზე, საშინელი ქარი და ქორიანტელი ამოვარდა და მთელ დამეს ათასი მოჩვენებანი გვისეთქავდა გულს. მეორე დილას გამოიდარა და ჩვენი შიშიც გაჰქინა, ასე რომ დაკარგულ გოჭზე გულ-გრილათ ვლაპარაყობდით. სადილათ სტუმრები გვეწვიენ, სხვათა შორის ჩემი ბიძაშვილი სანდროც, გიმნაზიის მეორე კლასის მოწავე, რომელსაც მალიან უვარდა წიგნების კათხვა. იმ წამსვე გავიხმე სანდრო გარეთ და დაწვრილებით ვუამბე გოჭის ამბავი.

— ალი ქვექნათ არ არსებობს—მიასუსხა სანდრომ—უთუოთ ან კაცი მოისარავდა და ან მაღლი თქვენ გოჭსათ. დასამტკიცებლათ მიაშპო სხვა-და-სხვა მაგალითები, რომლებიც წიგნები წაეკითხა. რომ ვერაფრით დავაჯერე, წავიუვანე ანტონესთან. იმასაც სტუმრები მოსვლოდა და უველა გოჭზე ლაპარაკობდა.

— არა, რათ უნდა ალს გოჭი, თუ ღმერთი გწამს?— ეკითხებოდა ანტონას მზარეულის მმა—ხარაზი.

— შე სულელო! შექვეირა შეარეულმა — განა შენ გა-
გიწევს ანგარიშს ალი, რათაც უნდოდა?

— მე ვამბობ — არის ალი, თქვენ-კი — არა, წარმოთქვა
ანტონამ. უძვობესია ასე გადავწევიტოთ: წავიდეს ვინმე თქვენ-
განი მკელ ბოსელში — უსანთლოთ და იქა ნახავთ არის თუ
არა! და ანტონამ ამაუათ გადახედა სანდროს.

— კარგი, უთხრა სანდრომ, მე წავალ, დამბახა მაქვს,
ჩავიდებ ჯიბეში და წავალ. მენც წამოხვალ? დამეტისა მე
სანდრო.

მე დიდათ მომწონდა თაფი, რომ პირველ კლასის გიმ-
ნასიელი ვიუავი და თუმცა მალიან მეშინოდა, მაგრამ მაინც
ვუჩასუხე: — წამოვალ!

ანტონამ და შეარეულის მმამ დიდის პატივისცემით და-
გვიწევს ცქერა მე და სანდროს.

— წავალთ. უმძველათ წავალთ, ხეალვე! წარმოთქვა
სანდრომ თავ-მომწონეთ და გამოვედით სამშარეულოდან.

სადილათ დავსხედით, მაგრამ ვაი იმ ჭამას, როგორც
მე იმ დღეს სადილი ვჭამე. შიშით წინ-და-წინვე მაკანკა-
ლებდა და ლინის ბოთლები ხომ სულ ალებათ მეჩვენებო-
და. სანდრო-კი ისე უოჩადათ იჯდა, რომ ნაძღვილი კმი-
რი გეგონებოდათ.

უბედურება ჩემი მაშინ იქთ, როდესაც მარტო დაურჩი
ჩემს ოთასში.

ბნელი ღამე იუო, ქარის საცოდავათ გაჟერონდა ზუზუნი.

ჩავწექ ლოგინში და თვალ-წინ წარმომიდგა, როგორ მოვა სეალ სანდოო, როგორ ჩუმათ გავიაპრებით ძეგლ ბოსელ-ში. აი ბოსლის დერევანიც. შევედით შიგნით და ჭედავთ კუთხეში წამოსკუპულა ბებერი, ბანჯგვლიანი ალი და სა-შიშარის თვალებით შემოგვეურებს, თითქოს ეს არის უნდა ჩაგველაპოსო. მე გულმა სამინლათ დამიწეო ცემა და რაც მალი და ღონე მქონდა გავეხვიე საბანში, მაგრამ წევული ალი თითქო ჩემს ოთახშიაც შემობაჯაჯდა. მე ის ცხა-დათ დავინახე, როგორ შესკუპდა კუთხის სკამზე, გამოაძ-ვირა ჩემსკენ სახისდარი დინგი და ორი უშველებელი რქა.

— მამა!.. ღედა!.. მიშველეთ!.. შევუვირე უცებ სამინელის ხმით. მალე მთელი ოჯახი თავს დამეხვა და მეკითხებოდა უვირილის მიზეზს.

— იქ... კუთხეში... ალი ზის... სკამზე... მლივს წამოვი-ლულუღე მე. მამა-ჩემი საჩქაროთ წავიდა კუთხისაკენ და სკამიდან აიღო გადიას შვერ თავზე-მოსახვევი.

— ხედამ, შე ლაჩარო! არაფერი სამიში არა არის-რა. სკამზე გადიას თავზე მოსახვევი გადაუკიდა და შენ ალათ მოგეჩვენა, მითხრა მამა ჩემმა დაცინვით.—თუ ღმერთი გწამს სულელურ ფიქრებს თავი დაანებე, თორემ უარესი რამ მო-გეჩვენება.

მე ცოტა დავმშვიდდი, მაგრამ გულში სულ იმას ვი-მეორებდი:—რა მასხარა უთვილა, ის წევული ალი, ხედავთ უცებ გადიას თავზე-მოსახვევათ გადაიტვა-მეთქი.



* *

შეორე დღეს დანიშნულ დროს სანდოო მოვიდა, მისმა დანახვამ შეძის ზარი დამცა: ნუთუ მართლა უნდა წავი-
დეთ!!.. გულის კანკალით გეკითხებოდი ჩემს თავს. როგორც
იუ დავსმლიე ჩემს შეს; და ჰალტოში გამოწეობილი და
მძების ჩუქათ გავიპარე სანდოოსთან, რომელიც ანტონას-
თან ერთათ სამხარეულოში მიცდიდა. სანდოომ დიდხანს
მიუქირა და მერე მკითხა:

— რაო, მართლა მოდისარ?

— მოვდიგარ!.. სმის კანკალით ვუპასუხე მე. პირობა ისე
იუ, რომ ანტონაც უნდა წამოგვეოლოდა, როგორც მოწმე.

— აბა წავიდეთ. დამბაჩა ჯიბეში მაქსი. არ დაივიწეო,
მიხო, რომ ერთმანეთს არ უნდა მოვმორდეთ, გაჭირების დროს
უახალათ იუბვი.

— კარგი! ვუპასუხე მე, მაგრამ შეძით კბილი-კბილს
მაცემინებდა.

— თუ დაიყვირებთ, მეც მაშინვე მოგემველებით. დინ-
კათ უთხრა ანტონამ სანდოოს.

— ნუ კეშინიან, ჩვენ უვირილს არ დავიწეებთ. ამაუათ
უპასუხა სანდოომ და გავემართეთ ბოსლისაკენ.

მოკრიალებულ ცას გაჭირონდა კაძეაში. თოვლი ფიცა-
რივით გაუინული იუ და ჩვენი ფეხის სმა შეძის ზარსა
მცემდა. ჩვენს უკან დინკათ მოაბიჯებდა ანტონა, პირში ჩი-

ბუქით. მივაღებით ძველ ბოსელს. აი მისი დერეფანიც, რო-
მელიც შავ ჯურდმულოს მიაგავდა. შევედით მე და სანდ-
რო დერეფანში.

— რა ბნელა! სთქვა სანდრომ და კედელზე ხელის-
ცაცუნით გაუდგა დერეფნის გზას.

— წუმწუმა მაქვს ჯიბეში, ავანთო? დავეკითხე მე.

— ჯერ საჭირო არ არის. წაილაპარაკა სანდრომ, რო-
მელიც გარება გამშორებთდა. ბიჭო, შენ სადღა სარ?

— ახლავე, ახლავე! საჩქაროთ მივუგე მე და, რაც მა-
ლი მქონდა, გავქანდი ბნელაში, დავტაკე სანდროს და ორი-
გე უირამბალა გადავგორდით. როგორც იუო ავდებით.

— შენი ჭირიმე, სანდრო, კითომ კიდეც ვიუავით ბო-
სელში, ახლა წავიდეთ! ხევწით მიემართე ჩემს გმირ აშანავს.

— არა, შიგნით ბოსელში უნდა შევიდეთ, ასეა ჰირო-
ბა—მიპასუხა სანდრომ.—აბა მომევე.

სანდრომ გააღო ბოსლის კარი და ჰირველათ თითონ
შევიდა. მეც მინდოდა შევუოლოდი, მაგრამ უცებ რაღაც-
ნაირი ფეხის სმა მომევემა, მერე თითქო ვიღაც დაეცა, ხვე-
მოდა და ამ დროს სანდროს სმეც გავიგონე.

— არიქა, მიხო, მიშველე!

თმა უალეზე ამიდვა, გულმა ცემა დამიწუო. მე თითონ
არ მახსოვეს, როგორ გამოვიქც დერეფნიდან, გადმოვახტი
ანტონას თავზე, რომელიც კალოს ღობეზე მიჯდარიელ



და დინჯათ ეწეოდა ჩიბუხს, შევარდი სახლში და გულამოდარომა შევვეირე.

— სანდროს ალი ახორიბს... მცელ ბოსელში... უძველეთ.

მთელი ოჯახი ფეხზე დადგა. მამა-ჩემმა წამოავლო ფარანს ხელი და გაექანა ბოსლისაკენ. მე-კი მთლათ გვანგალებდი. თუმცა ბევრს ცდილობდენ, მაგრამ ვერაფრით დამამშვიდეს.

როგორც ანტონამ გაიგონა თურმე სანდროს უვირილი და დაინახა რა სისწრაფით გადავახტი თავზე; მაშინვე გაუქანა სანდროს მისაშველებლათ. შესულიყო თუ არა ბოსელში დაენახა, რომ მიწაზე რაღაც შავი დიდი გორგალივით დაგორავდა, დაევლო ხელი, გამოეთრია გარეთ და სინათლეში გაერჩია, რომ სანდრო და რაღაც უცნაური არსება, შავი, გამხდარი სახით, ჩაბრუჯოდენ ერთმანეთს და თავ-პირს აკარიდენ.

— ნუ თუ ეს ალია! ღმერთო ჩემო! ეს ხომ ციგნის ბიჭია! შეჲვირა თურმე შემდეგ ანტონამ, რაკი იცნო ციგნის ჰატარა ბიჭი.— მაშ შენ იპარავ, ვაჟბატონო გოჭებს?!

— მე ხომ გითხარით, რომ ალები ქვეუანაზე არ არიან მეთქი, გაიძახოდა თურმე თავ-მომწონეთ სანდრო.

ანტონა და სანდრო თავის ჰატარა ტუსალით შეხვედროდენ მამა-ჩემს და ერთათ დაბრუნდენ სახლში.

— აბა ერთი შენი ალი დაასუალიერე, შე მშიშარა ფი-
ნიავ! მითხოა მამა-ჩემმა და მომიუენა გვერდით ციგნის ბი-
ჭი. მალე მთელი ჩვენი ოჯახი და მოსამსახურები გარს
შემოეხვია ციგნის ბიჭს, რომელიც მიუნტულიუო კუთხეში
და შავი ბრიალა თვალებით შიშით შესცემოდა უცნობ
ხალხს.

სანდოო ამაუგათ გამოჭიმულიერ და გვიამბობდა, როგორ
შევიდა ბოსელმი, როგორ ეცა ციგნის ბიჭს, რომელიც
ცდილობდა გასხვლეტოდა სელიდან.

— ეონჩაღი ბიჭი სარ, სანდოო! უთხრა მამა-ჩემა—აბა,
ჩემ მძიმარა ბარტეს-კი არა გვესარ, რომელსაც ღობის მარ-
გილი და გამდლის თავ-საფარი ეშმაკებათ და ალებათ ეს-
კენება. მენ რომ არა—ჩვენ ვერ გავიგებდით ვინ მოუმარა
ვოჭი. ანტონა სადღაა? იკითხა მამამ.

შემოვიდა ანტონაც, რომელსაც გოჭის ძვლები აეკრი-
ფა ბოსელმი და მოეტანა იმის დასამტკიცებლათ, რომ
ქურდი მართლა ციგნის ბიჭი იყო.

— ახლაც იტევი რომ ალი არის ქვეყანაზე? დაეკითხა
ანტონას მამა-ჩემი.

— კიტევი და დაკამტკიცებ კიდევ. მიუკო ანტონამ —
კოქებათ გოჭი ციგნის ბიჭმა მოიპარა — მე რომ კისერზე შე-
მახტა ის ვიდა იუ?

— შენი გაუთავებელი ჩიბუსის-წევა გახრიობდა — მიუკო
მამა-ჩემშა.

— ეგ არის, ბატონთ, ჩამოერთა შზარეული, ათი წლის
სა ძლივს იქნებოდა, რომ თუთუნის-წევა დაიწეოდ და მარა
კეთილი დაეურება. ავეთა! ტეუილათ ხალხს აფეთქებს!.. თითონ
ეგ არის ალი.


დედა-ჩემმა ციკნის ბიჭის მიუხლეორსა, დაბანა და ჩემი
გამონაცვლი ტანისამოსი ჩაცემა.

ციკნის ბიჭი მალე მოშინაურდა და საუკეთესო მოსა-
მსახურე დადგა. ოოგორც შეძლებ გვიამბო, თურმე ავათ
გამხდარიულ და პატრონებს დაეტოვებინათ სოფლის ბო-
ლოს. ავათმუოვს რამდენსამე სანს ეკვნესა და ბოლოს კარ-
გათ გამხდარიულ. ევლო სოფელ-სოფელ და ბინა ჩვენ
მეელ ბოსელში გაეჩინა. ოდესაც მოშივდებოდა თურმე ღა-
მე გამოვიდოდა თავის საფარიდან და სადაც რას მოასწორებდა
საჭმელს იარავდა. ასე მოეპარა ჩვენი ვოჭიც.

ამ რიგათ დიდხანს ჯერ სახლში გვემსახურა ჩვენი ვა-
სო (ასე დავარქვით ციკნის ბიჭს) და შეძღვებ მეჯინებეთ
გავსადეთ—ანტონას მაგიერათ.

ၬ. ပေါ်ပေါ်မြွှေ့လုပ်.

(გადმოკეთებული)



მწევარი და კურდღელი.

ი გ ა ვ ი



წევარი კურდღელს გამოედევნა დასაქერათ, ფე-
ნი ბელტს წამოჭერა და ისე ღონიფრათ და-
კურა მიწაზე, რომ წინა ფეხი ზედ შუაზე გა-
დუტება და აღგილიდან დაქრან კუდარ შეიძლო.

ეს რომ კურდღელმა შენიშნა, გულში სიბრალული აღემ-
რა, დაბრუნდა უკან და გულმტკიფნეულათ ჰყითხა მწევარს:

— მეობარო, რა მალიან მწენის, რომ ასეთი უბე-
დურება შევემთხვა.

— გამადლობ თანაგრძნობისთვის, მაგრამ რო იცოდე,
ჩემ წენას უფრო საზღვარი არა აქვს, მიუგო მწევარმა.

— რასაკვირველია, უფეხობა ვისთვის იქნება სასა-
მოვნო.

— არა უფეხობას სრულიადაც არა ქჩივი.

— მამ სხვა რაღა გაქვს სადარღებელი? გაკვირვებით
ჰყითხა კურდღელმა.

— ისა, რომ დღეის იქით კურდღლებზე კიდარ ვინა-
დირებო.

ამის გაგონებაზე კურდღელი ცივათ გამობრუნდა, თა-
ვი გაიქნ-გამოიქნია და გულში წაიბუტბუტა: «ეა რა
ტეუილათ დავსარჯე სამძიმარიო».

ალ. შირიანაშვილი.

თაგუნა, ჩიტი და ძებვი.

(გრიმის ზღაპრებიდან)



ცხოვრობდენ ერთათ თაგუნა, ბეღურა და მეხვი. ბეღურას ტეიდან შეშა დაჭრნდა, თაგუნა შინ ოჯახობდა და მეხვი-კი სადილის ამზადებდა. მეხვი ძლიერ მსუქნი იუ, ამოევლებოდა წევნში თუ არა, წვენს სისუქნე ეძლეოდა. მეგობრები ძლიერ კარგათ ცხოვრობდენ, არაფერი იმათ არ აკლდათ.

შეხვდა ერთხელ ბეღურას მეორე ბეღურა, რომელმაც უთხრა:

— მალინ შემცდარი ბრძანდები, ჩემო დობილო, რომ უველას მაგიერათ შენ აკეთებ საქმეს; შენ წელმი წედები და შენი მეგობრები-კი მსარ-თემოზე წამოწლილნი სახლში ნებივრობდენ, რატომ ერთხელ მაინც არ შეუცვლი იმათ საქმეს, ერთი იმათაც ნახონ რა არის ტექში მუშაობა!!!

ბეღურამ დაუჯერა. სახლში აქლოშინებული დაბრუნდა და შემოსვლისთანავე მიაძანა თავის მეგობრებს:

— მოდი საქმე შევიცვალოთ: მე ვიყოფახებ სახლში,
თაგუნა წერის გააკეთებს და მეზვი-კი შეძახე წავიდესო.
მეგობრები დათანხმდენ.
როდესაც მევხი შეძახე მიდიოდა, შეზვდა მას მაღლი
და შეჭამა.

თაგვს უნდოდა მდუღარეში ამოგლებულიერ, როგორც
ამას მეზვი შვრებოდა და შიგ-კი მოიხარშა.

დარჩა ერთათ ერთი ბეღურა, მავრამ ამასაც ჯავრისა-
გან ბოლო მოედო.

თორნიკე.





მოსული მართა.

(საშობაო)

ობა დღე გათენდა, თუმცა ბრწყინვალე
 მზეს გაჭქონდა კაშკაში, მაგრამ დი-
 ლიდანვე საძინლათ ციოდა. ჭირხ-
 ლით შემოსილ ხეებს ჩამოჰკიდოდა
 უინულები, რომლებიც მორთულ შო-
 ბის ხესავით ბრწყვიალებდენ.

საწეალი ბებერი ჭურიანი მართა
 გამოვიდა თავის ქოხიდან და გაემარ-
 თა ტეისაკენ, რომ აუკიფა პატა-
 რა ჩინჩხვარი ქოხის გასათბობათ.

საცოდავი მთლათ კინკალებდა დაძონ-
 მილ კაბას ქვემ, ძველ გასესილ შალ-

ში გახვეული. შევიდა თუ არა ტექში წინ შემოხვდა პატარა,
 ან გელოზის მგზავრი, ქერა უმზრვილი, რომელიც თბილათ
 და ლამაზათ ჩაცმული მოუძღვდა თავის მშობლებს. უმაწ-
 ვილმა მიირბანა მოხუცთან და ჭკითსა:

— საუდარში მიღისარ მართა? (ამ დედაგაც უველა იცნობდა სოფელში).

— საუდარში?.. რისთვის?! მოუგო მართამ გაჯავრებით.

— მისთვის, რომ დღეს შობაა... რომ იცოდე მართა რა კარგი საჩუქრები გამომიგზავნა დღეს დილით ჰატარა იქსომ! ახლა მივალ საუდარში მაღლობის შესაწირათ. უპასუხა ემაწვილმა.

მოხუცმა ნაღვლიანათ გაიღიმა და მოუგო: «ჩემთვის-კი მას არა მოუტანია-რაო» — და შეუდგა გზას.

ბავში სახტათ დარჩა, რამდენსამე ხანს უმსერდა მას.

— ერმა იქსო!.. ბუტბუტებდა მართა — ის მსოლოთ მდიდრებს ეწევა და არა ღარიბებს, განა ჩემისთანა საბრალო მოხუცისთვის ზრუნავს იგი!

მართამ მოაგროვა ჩინჩევარი და შევიდა მენახშირის ქოხში დასასვენებლათ, ამ დროს მოესმა მსიარული ზარების რეკა, ამ ხმაზე საწყალი ათროლლდა.

ჩემთვის არ რეკენ ამ ზარებს, წარმოთქვა მან სმა-მაღლა ადელვებით და ჩაფიქრდა. კარგა ხანს შემდეგ თითქო დამშეიდდა: — ოდესმე ეგ ზარები მეც მასარებდენ... გაიფიქრა მოხუცმა — სიუმაწვილეში რა ბედნიერი ვიუავი ხოლმე საშობაოთ! მაშინ ჰატარა იქსო ჩემთანაც მოდიოდა, როგორც სხევასთან, ახლა-კი აღარ მიგდებს უურს». და თვალები აევ-სო ცრემლებით.

მოეჩვენა ვითომ მთელი ტუე საუდრათ გარდაიქვა და სეებ-

ზე ჩამოვიდულ უინულებს გაჭირდათ ზარებივით რეგა. რაღა-
ცა ნათელი მოეფინა ტექს და გაუთბო გაეინული არსება, საბ-
რალო დედაქაცს. ამ დროს მრავალის ხალხმა გაუარი წინ
განცვიფრებულ ბებერს. ამ ხალხში იუვნ უველანი: მდიდარ-
ნი და ღარიბი, მოსუკნი და ახალგაზრანი, დიდებულნი
და დაბალნი; უვილა შეერთებულნი მისწრაფოდენ ერთს
მხარეს. უნებლივით მართაც ადგა და შეუერთდა ამ ხალხს
დიდის მოკრძალებით. ვინც-კი შეხედა მოსუც დედაქაცს უვე-
ლამ გაუღიმა და სიამოვნებით დაუკრა თავი, თითქოს ია-
მათ ამისი დანახვა. აი ხალხი შედგა. ზარების ხმა შესწე-
და და მოისმა სასიამოვნო ცუკრი გალობა. მართამ დაი-
ნახა შეის შექით მოსილი მშვენიერი ერმა, მწოლარე ბა-
გაში. მას დასცუქროდა მშვიდობიანის და ნაღვლიანის სა-
სით უმარტვილი დედა.

მართა მთლათ ცახცახებდა, იგი დაწწენდა რომ იდგა
ერმა იესოს წინ. ხალხი მიუახლოვდა და დაეშეო ლვთიურ
ერმის წინ. მართა შიძით აკანკალებული იდგა მოძორებით
და თითქოს ნანობდა აქ მოსვლას. ამ დროს გამოჩნდა პა-
ტარა ემარტვილი, რომელიც მართას შემოეუარა ტუქმი, მივი-
და მასთან, მოჭყიდა ხელი და უთხრა:

— წამო, იესოს უნდა შენი ნახვა.

მართა გაჭჭება მას, მივიდა ბაგასთან, აღტაცებით დაემ-
ხო ჰირქვე დედამიწაზე.—ოს კეთილო იესო! წარმოთქა მო-
სუცმა აღელვებით, შემინდე მე ჩემი სასოწარკვეთილება! მე-

გონა შენ დამივიწეუ და ახლა-კი ვერძნობ, რომ მე თო-
თონ დამვიწეუბ ასარ. იქსო ტებილო, ნუ დამსჯი მე ცოდ-
ვილს! შევედრა მართამ და შიძით აღაპერო ცოქმლიანი
თვალნი შემოქმედისკენ. ურმა იქსომ ლმობიერათ გაუღიმა
მას. ამას შემდგომ უოველივე განქრა: ბაგაც, იქსოც, ხალ-
ხიც და ნათელიც. მართა იჯდა ისევ ქოშმი, მას საშინ-
ლათ აკანკალებდა, მაგრამ მის გულს-კი მოეფინა რაღაცა
სითბო, სიძუღიდე და უზომო მხიარულება. ამან იგრძნო,
რომ თუ იქსომ მას არ მისცა ქვეუნიური სიძიდირე, მაგი-
ერათ ის იტანჯა და მოჟვდა ამ საბრალო მოხუცისთვის
ისე, როგორათაც მთელის გაცობრიობისათვის. უოველის
მხრიდან მოისმოდა ზარების რევა. მართა წამოდგა საუდარ-
ში წასასვლელათ, რომ თავებნი უცა უოველად მოწეალე
ღვთისათვის. ჩუმათ შევიდა ეკლესიაში და მიჟდა კუთხეში,
კედელთან და სასოებით მოისმინა მყელი, მაგრამ უოველის
ქაშს ახალი მოთხრობა — შემოქმედის ამ ქვეუნათ მოსვლისა.

როდესაც წირვა გამოვიდა და საჭირო დაიშალა, მარ-
თა ისევ უძრავეთ იჯდა მიურდნობილი კედელთან; მის
დაღმიშვილ სახესე გამოისატებოდა ციური სიამოვნება. მარ-
თა არ გრძნობდა რომ საუდარი უკვე დაცარიელდა.

მოხუცი მწევებსი მიუახლოვდა მას და დაუწეო ლაპა-
რაკი... მან ჰასესი არ გასცა. შეახო ხელი... საბრალო
მთლათ გაცივებ ულიუო; ურმა იქსოს წაეუვანა ის თვის სასუ-
ლეველში, სადაც იგი ისილავს საუკუნო დღესასწაულს შო-
ბისას.

კნ. ან. ამილახვერისა.

(ფრანგულიდან)



საუგარი ცხოველებზე.

(პოლბერისა)

რა არის საჭირო მოძრაობისთვის?



ინეთ ვამხობდით, რომ ცხოველები და-
დიანთ და ამას გარდა გრძნობენ და მოძ-
რაობაც შეუძლიანთო. მოძრაობისთვის
ჩვენ გვაქვს სელები და ფეხები, მაღლს
თათები, ფუტებარს ფეხები და ფთები.
სხეულის ეველა ამ ნაწილებს ჰქვიან სა-
ერთო სახელი — კიდურები.

კუნთები. გველსა და წურბელას კიდურები არა აქვთ,
არც ფეხები აქვთ და არც ფთები. მაში როგორ მოძრაობენ?
აი როგორ: სხეულში იმათ კუნთები აქვთ. ამ კუნთებს ჩვენ
სორცს ვეძახით. კუნთები ჩვენცა გვაქვს; ისინი ძვლებზე
არიან მიბმულ-მიმაგრებულნი. კუნთები შემოკლდებიან, შედ-
გებიან, ე. ი. მოკლდებიან და სხვილდებიან და იმავე დროს
ძვლებსაც თან ეწევიან. წურბელას სხეულში ძვალი არსად

აქვს, როგორათაც ჩვენ გულში და ენაში; მაგრამ წურბელას კუნთები რომ შემოკლდებან, შეიკუმშებან ერთ მხარეზე, მთელი სხეულიც იტით გადისჩრება, გადიკაკვება.


გრძნობის ორგანოები. უმთავრესი სამოძრაო ორგანოები კუნთებია. მაგალითათ წურბელა, შევეხები თუ არა, მოძრაობას იწებს, მაშ წურბელას ჰქონია გრძნობა შესებისა. აქვს აგრეთვე ორგანო შეხებისა — ტუავი. ამას გარდა ცხოველების უმეტეს ნაწილს მხედველობის ორგანოები — თვალებიც აქვთ. აქვთ აგრეთვე სმენის ორგანოები — უურები, ენოსვის ორგანოები — ცხვირი და მისი ნესტოები, გემოს ორგანოები — ენა და სასა. გრძნობის ეველა ეს ორგანოები თავზე არიან მოთავსებულნი.

ნევრები. თვალებიდან, უურებიდან, ნესტოებიდან, ენიდან და ტუავიდან ტანში მიღიან თეთრი ძაფები — ნევრები. ამისთანავე ნევრები სხეულში კუნთებიდანაც მიღიან.

ნევრები სხეულში ერთმანეთს უერთდებიან და შეერთების ალაგას ნასკვები კეთდებიან. ამ ნასკვებიდან შესდგება თავის ტვინი, რომელიც თავის ქალაშია ჩამჯდარი და ხერხემლის ტვინი, რომელიც ზურგს ჩასდევს სიგრძეზე. ტვინი ჭრის ბუდეა, უველა იმას, რასაც თვალი სედავს, ან რასაც უური ისმენს და ცხვირი უნოსავს — უველა ამას ნევრები ტვინს ატუობინებენ. სხვა ნევრები კიდევ ტვინის ბმანებას კუნთებს გადასცემენ. ამ ბმანებას კუნთები ასრულებენ და ხან შეიკუმშებან, შემოკლდებან, ხანაც გაიძლებან,

გაგძლდებიან. ტვინი და ნევრები ბატონობენ მთელ სხეულში და უგილა ორგანოებს განაგებენ. უნევრებოთ ჩვენ ვერც ტყივილს ვიგრძნობდით, ვერც სიამოვნებას, ვერც ვიმოძრავებდით და მცენარეებს დავემსგავსებოდით. ნევრები გრძნობის უმთავრესი ორგანოა. მრავალ ცხოველს, მაგალითათ მწერებს, წურბელას თავისა და ხერხემლის ტვინი არა აქვს, მავრამ ნევრები და ნევრთა ნასკვები-კი აქვთ. ესენი აკავშირებენ გრძნობის ორგანოებს და სამოძრავო ორგანოებს (კუნთებს). აი რატომ იხლაკნებოდა ჩვენი წურბელა, შევეხებოდი თუ არა. ფანქარას წვერი ეჩოთირებოდა წურბელას ტეავს; ნევრები შეწუხდენ და თვისი შეწუხება კუნთებს შეატყობინეს; ისინიც სწორაფათ შეიკუმშენ.

კოტე.





მონადირე.

ხევსური შიშია გათქმული მონადირეთ ითელებიდა. იმისი გაუეალი მთა აღარსად იყო. გუდამაყრის ჩონჩხები, ხევსურეთის მთების კუდები და თერთ გერგეტიც მოელილი ჰქონდა. იმისგან შეწირული ჯიხებისა და კლდის ვაცის ადლიანი რქები ხახმატისა ¹⁾ და გუდანისჯერის ²⁾ ითნებზე ეკიდა და სალუდეს ყორის კედლებზე იყო ჩამწერივებული. ეს ხატისათვეის მიჩომეული ძლევნი იყო მაღლობის ნიშნათ და ქრთაშადაც შიშიასაგან, რომ საკვლაოდაც მოემართა ხელი. ერთი აჩწიებელალი ³⁾

¹⁾ ²⁾ სოფლებია სეპსურეთში.

³⁾ მიუდგომელი კლდის ჩონჩხია სეპსურეთში.



ჰქონდა გულში ჯერად ჩაყოლილი. იმის წევრზე ჯერ კაცს ფეხი არ დაედგა. მხოლოთ შორიდან შესცემოდენ ხეესურები შურითა. იმის წევრზე აუარებელი იარალი და ზინათი ეგულებოდათ, არწიებისგან მიზიდული. იქა ბუდობდენ ეს მთის ამაყი შეიძლებიც და ბარტყებსაც იქა ზრდიდენ გულ-მოსვენებულები, რომ კაცი იქ ვერ მიუდგებოდა. აქ იყო იმათი სასხლომი და სალხინო ადგილი. იქიდან დასცემოდენ მთელს ხეესურეთს და ხეე-გუდამაყარს ამაყი თვალით და ათვალიერებდენ თავის საკბილო ლუკმასა.

თეოთონ არწიებისმაღალმა თოვლი არ იცოდა, რადგან ზედ იმდენი სწორე აღგილი არ მოიპოვებოდა, რომ თოვლი დაედო და (დამდგარიყო) დამრჩალიყო. მთის ძლიერი ქარი ხელათ გადაფხეკ-და თოვლს და რაც დარჩებოდა, იმასაც მზის სხივები ჩამოადნობდენ ხოლმე, ჯერ ლოლუებათ დაეკიდებოდა და მერე კლდის ნაპრალებში იყარებოდა. ქვებში ამომძრალი ქუჩი აღარა კვდებოდა, ზლარბიერით ეყუნტა კლდის ნახეთქებში. შავი ქვები არწიებასა და სვავების სკინტლით იყო თეთრათ ჩამოთხაპნული. ეს იყო აღა-მიანის ფეხისგან შეულახელი ადგილი. და ბერ ხეესურის ვაჭაც ენატრებოდა იქ ასვლა. იცოდენ, რომ იმისთანა ვაჭზე ხეესურის ქალებიც-კი ლექსს გამოთქამდენ. იმისი ქების ხმა მთელ მთას შა-მაივლიდა და მერე შეილი-შეილს გადაეცემოდა. შიშია' ბევრჯელ ეჩერენებოდა სიზარში არწიებისმაღალი; *) ოცნებობდა, როცა ის იქ აეიდოდა, როგორ აიშლებოდენ არწიები და შეშინებულები თავზე დაუწყებდენ ტრიალს და ყეფას. როგორ იპოვიდა იქ უპატრონოთ დახოცილ ვაჭკაცების იარალსა და მარჯნებს ფრინველებისგან ატანილსა.

ქვემოთ-კი არწიებისმაღლის კალთები და ხეები საესე იყო თოვლით და მისდღეში გაუდნობელი ყინულით. კლდის ვაცი და ჯიხეიც აქაური იყო გათქმული.

*) მთის სასედია.

• •

მზე ამოსული იყო, როცა შიშია არწივისმაღლის კალთას შე-
უდგა. თოვლის ცეკვით თვალები სტყიოდა და თვალებში ცისარ-
ტყელასაეთ წითელ-ყვითელა ელანტდებოდა.

ზეა მდნარიყო და ჩამდენიც ძირს დაეწია, იმდენი ჩამოეფხოჭ-
ნა კლდებიდან ისეც მცირე მიწა და სილა და ატალახებული თოვლ-
ზე ჭუჭყათ იდო.

სადაც ან ხის ნაკოდალი (ნარიყი), ან ქვა, ან ზეაერსგან მოგლე-
ჯილი ქუჩი დაცემულიყო ზეავზე.—თოვლში ჩაფლულიყო, თოვ-
ლი შემოეკვება ირგვლივ, თითქო ცეცხლს მწეარი ამოუწევსო, ზო-
გან ჩახერეტილიყო კიდევ და შიგ მღვრი—ქეიშიან-ტალაპიანი აქა-
ფებული მდინარე ჩაქუხდა ბნელ ჯურლმულში, მჩეთ-უნახავი.

საღაც მოესწრო დედამიწას თოვლისგან განთავისუფლება, თაე-
უეითელა ყაველს და დათვის ტერეფას ამოეუოთ თაეი. ბუერასაც
გაელიძნა და თაეის მწევანე ქათიბს მზეს უცხუნებდა. ზაფხულის შე
სიცოცხლეს უხეად აძლევდა. საღამოთი კარიელი მოტელეპილი ად-
გილი, მეორე დღეს სამურად ყეაოდა.

შიშია ზეაქს მოერიდა, გაღმა გაეიდა. საშიში იყო ზეაეი ჸაფ-სულში. გარედან მზისგან შეჭმული და შიგნიდან წყლისგან ადვი-ლათ ჩამზღვლეოდა და კაცსაც თან ჩაიტანდა სამუდამოთ. ზეაეჭე ჯიხების ნაეალი მრავლათ იყო. ეტყობოდა წყლის დასალევათ აქ ევლოთ ზეეიდნ. ჸაფსულისგან შეშინებულებს ზეეით აეწიათ, რაც ზეაები შრებოდა, ნაზეაერებში ნოკლა ბალახი ჩნდებოდა და არც ცხელოდა.

კაი დიღი ფარა ჩანდა. ნაეალზე ეტყობოდა, რომ ციკნებიც
ბლომათ ერია ფარაში და ჯარჯისებიც. შიშია გულიანათ ათვა-
ლოერებდა ამ ნაფეხურებს. ერთი ნაფეხური იყო ყველაზე დიღი.
სწორეთ მოზერის ტელა ფეხი იქნებოდა. ყველას ნაეალს ჭილეტდა,
ეტყობოდა უკან მისდევდა ფარას, რადგან ან ფარას ჰპატრონობდა,

ან სიმძიმით სიარული უჭირდა. შიშიას გულმა ფთხრიალი დაუწყო. შურით ჩასკეროდა ჯიხეების ნაეალს. გული უსკდებოდა, რომ ამ-დენი ნადირი აქ თავისუფლათ დაიარებოდა; შიშია-კი იმათი მძებ-ნელი ზეაუზე ქერის ჯინჯილასა და არაუან მოხდილ ძროხის რძის-გან ამოწურულ კურსა (ყველს) ხრავდა. ათასიც რო ყოფილიყო, თუკი როგორმე შესძლებდა, სულ ერთიან გაუწყვეტდა, გინდ ერთი ჯიხეის ტყავიც ძლიერ წაეღო სახლში. საშინლათ შურდა იმათი ასე უშიშრათ სიარული. შურდა იმათი ლალი ცხოვრება, იმათი თავი-სუფალი სიცოცხლე. თავის დაბეჭინებულ და დამონებულ ცხოვრე-ბასთან იმათი ლალი სიცოცხლე გულში სანატრელათ მიაჩნდა. ჩად-გან თვითონ კერსად წაუეიღოდა ამ ცხოვრების სიღუბჭირეს, არც იმათი უნდოდა, რომ ცაცხლები ყოფილიყენ და თავისუფლები.

ენ არ მისტანებინართ დასაჭერათ ოთხში შემოფრენილ ჩიტს, რომელიც თავადაკლული ექებს გასასელელ გზას და ხან ერთი სარკმ-ლის მინას დაეტაკება თავით, ხან მეორისას, მანამ უგონოთ ძირს, სარკმლის ფიცაზე არ ჩამოვარდება თავ-გატეხილი. საწყალი კენე-სის, სულს ლექს და თან კიდევ შიშით თრთის. შენ ხელში იყვან საჩქაროთ და ერთ წამს მაინც სიამოვნებასა გრძნობ, რომ ამ თა-ვისუფალმა ფრინველმაც იგემა მონობის სიმწარე.

თავისუფლების შემფრთვინავნი იმავე თავისუფლების დაუძინებე-ლი მტრები ვართ...

შიშიამ შეჭამა ხელის ტოლა პური, თოფს ფალია უნხა, და-ნარჩენი საკმალი ისევ შოლტაში (მელოტი გულა) ჩაწყო და მგე-ლიეთ ჯიხეების კვალს გაჰყვა.

ზეაუი გამაილია და ქვიშიან ფერდას შეუღა. წერილი და შა-ვი სიფრიფანა ბრჭყვეიალა სიპების ნამტერებისგან შემდგარი ქეშა ფეხ-ქევშ არა დგებოდა, ელდასაეით აქეთ-იქეთ ძერებოდა. ფეხი შეგ ღრმათ ეფლებოდა და ძალიან გამოცდილი მოსიარულე უნდა ყოფილიყო, რომ ისე მოესწრო ფეხის გადადგმა, სანამ ქეიშა გაშ-ლას მოასწრობდა. შიშიაც სწორეთ ასეთი იყო. ისე ოდნავ ადგამ-

და ფეხს, რომ ქვიშა მხოლოდ მაშინ დაიძეროდა, როცა იმას ფეხი კიდევ ჰქონდა გადადგმული და თოვის წამალიერი იწყობდა ქვე- მოთვენ ზეავით დენას წყრიალით. ძირში წმინდა სილა იყო მოქ- ცეული, ზემოდან უფრო მომსხო კენჭები და სიფრიფანა სიპები მის- ლიკინებდენ. ცველანი ერთათ მზეზე გიშერიერით საამურათ ბრჭყეი- ნაედენ. ხანდახან ჯიხეისან დაგორებული ქვაც გაახმიანებდა არე- მა- რეს. ამ დროს შიშიას დიდი სიფრთხილე ემართა, რომ ქვას არ გაე- ტანა. უნდა წამოხურულ ლოდებს ამოკროდა ქვემოდან, ან სხვა მხარეს გაქცეულიყო.

მიდიოდა შიშია. ის საამურათ ბბრჭყეინავი სილა, ის კლდეები, ის მკედარი ბუმბერაზები, ის საბლოტი კინჭუხები, ბალახ- ბულახით მორთული, იმას სულ თავის მტრებათ მიაჩნდა. ქვიშა იმიტომ მიცურავდა უფსკრულისკენ, რომ შიშიაც თან ჩაეტანა. ლოდები იმიტომ იყო გადმოკიდებულები, შიშია რომ ხელს მოჭხ- ვედა მოგლეჯილიყენ და შიშიაც დაეტანათ. მიდიოდა შიშია, რო- გორც ფრთხილი ვეფხი, როგორც კატა ფრინეელს ეპარება ხოლმე; დიდი სიფრთხილით მიცოცავდა სულ მაღლა და მაღლა. კლდის თავზე ერთგან პატარა ბუსნო იყო, იქ დაჯდა. სული მოითქვა. ერ- თი ეიშრო ხევი ჰქონდა კიდევ გასასვლელი და მერე აჩწიეისმალა- ლის ჩონჩხი იყო აუაყული უზარმაზრ მატურიერით.

აგრ ჯიხეების ფარაც კლდეებში მოდებული. ცინწებიც-კი გა- რცევით ჩანდა, რომ ეკრობოდენ დედებს და მუცელ-ქვეშ უძერე- ბოდენ. სხვები ზოგი ჭიდაობდენ, ზოგი კლდიდან-კლდეზე ხტოდენ. კინჭუხის თავზე შემხტარი პატარა ვაცუნა, ცერის ტოლა რქიანი, დაცინებით ჩასცეროდა თავის ძირს დამრჩალ ამხანავებს, რომელთაც სწრაფათ ექრ მოესწროთ ამხანავთან ერთათ მაღლა შეხტომა და თეთ- თონაც ისევ ძირს პირობდა გადაშვებას. სხვას კიდე ძუძუ უნდოდა, დედას დასდევდა, დედაც ხან გაექცეოდა, ხან მოუბრუნდებოდა, სჩეერადა და იქით ავდებდა. შეილი მაინც თავისას არ იშლიდა,

უკანა ლაჯებილან უყოფდა ცხეირსა. სხვა ჯიხები ზოგი იწვა, ზოგი იქექებოდა, ზოგიც ქვებში ამომძერალს გერმასაცით რბილ ბალახს სწიწნილა.

იყო არხეინათ ამ მთის შეილების ფარა, მაძლარი, მხიარული, თავისუფალი. არც უბინაობისა ეშინოდათ და არც ზამთარში გამოკვების გულისათვის გისმე ბოსელში სურდათ თავის დაბმა. ზაფხულში შე შურობისგან *) ბუდედ შეტანილი ბალახი ზამთარში ჯიხეს კაი სამსახურს უწევდა.

შიშია თვალით ზომაედა მანძილს, მიაწევდა ჯიხებამდე ამისი ხირიმის ტყეია, თუ ეერა. კანკალმა აიტანა. თოფს, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ორი ხელით ბლუჯავდა, თითქო ეშინიან, ხელიდან არ გამიეარდეს.

თოვლი სთვეს, ჭიხვი ფეხს უცემს,—

გულს გიგლის მონადირეო!

— გერ დაგერ თოვი, ტიალო,

სისხლი გერ გაგადინეო;

გერ გაჯმოგაგდე ეღღუ წედა,

რებზედ გერ დაგამჭინეო!

მოაგონდა ეს ფშაველების ლექსი შიშიას. ცხადათ წარმოიდგინა მონადირის სულისკეთება, როცა ერთმანეთისგან მანძილით დაშორებული მონადირე და ჯიხვი ერთმანეთს გასცემობან. ჯიხეი თითქო უსაყვედურებს: — რას მერჩი, რას გიჭამ, რას გტაცებ? რის-თვის მდევნი? შენც გეყოფა მზის შექი და მეც. შენს გამოსაღებს მინდერებს და ეელებს ხომ არ გეცილები? ეენახებს არ გიკვნეტ, ყანას არ გიძოვ, ნათესს არ გითესავ და ნახნაეს ფეხით არ გიზერქნი! ჩემმა წინაპრებმაც კარგათ იცოდენ, რომ შენ, კაცო, რაც-კი შენი გამოსაღები და ხელსაყრელი იყო, სხვას არ დაანებებდი და არც არაეის ჩაიზიარებდი. იმიტომაც აყი გაგშორდენ და ისეთს მთას

*) მთის ინდაურია.

და კლდეს შაეხიზნენ, სადაც შენ შიშით ფეხსაც ეერ მისდგამ, თო-
რემ გუთანსა და ბარს-კი ეერ მიიტან. რას მერჩი? დამანებე თავი!
ვიცოცხლო მეც ამ მწირს და ვაგლას მთაში!

მონაღირეს-კი ჯიხეის სიშორე და მიუღომელ ადგილას ყოფ-
ნა გულს უგლიდა, გაბოროტებულს შური აღჩობდა. შიშიასაც შუ-
რი, თუ იმაზე უარესი სისხლით გაუძლომელი გრძნობა, სჭამდა.
რამდენჯერმე წაუდო ქვაზე თავისი ვერცხლის სალტებით შაზიဖუ-
ლი, მხეზე თეთრათ მბრკეუნაეთ ხირიმი და ისევ უკან გადმოიღო.
სევდით და მწუხარებით დასცეროდა ამ თავის გალაპლაპებულს ყელ-
კრელ ხირიმს; არ ევინა, თუ იქამდე მიიტანდა ტყევას. თუნდა მი-
ეღწია კიდეც, ჯიხეს ვერ დაიმორჩილებდა. ტირილი მოსდიოდა,
რომ რუსების შამფურიეით გაშავებული „ბერდენკა“ არა ჰქონდა.
ის რო ჰქონდა, ერთსაც აღარ გაუტევდა ცოცხალსა. რუსებზედაც
და „ბერდენკაზედაც“ ჯაერი მოსდიოდა, რომ ამისი თორმეტ ძრო-
ხიანი *) ხირიმი იმ შაემა დუდუხამ ასე დაამცრო და დააჩალავა...
ამ დრომდე დაწოლილ ჯიხეებიც აიშალენ და აღმართს შეუდგენ.
ის დიდი ჯიხეიც უკან იყო და დინჯათ მიბიჯებდა. შიშია ანთებუ-
ლი თვალებით გასცეროდა ხარ-ჯიხეის გზას, ელოდა, როდის გა-
სწორდებოდა თოფის სასროლათ. აი შეხტნენ ერთს ბექურზე ჯიხ-
ები და მეორე მხრისკენ იწყეს დენა და მოფარება. ბოლოს შეეპ-
ლოტა ხარ-ჯიხეც და გაბრტყელებული ეყუდა შიშიას პირ-და-პირ
მოჩრის ტელა. სუნ-გაწყვეტილი შიშია თოფს დაცეროდა, თით-
ქო ამისი სიკედილ-სიცოცხლე ამ წუთზე არის დამოკიდებულიო.
ერთ წამია ხანს გაპხევილა ხირიმმაც. გაღმიდან, თითქო შეყვარე-
ბულთ ერთმანეთს დამალულებმა აკოცესო, ტკაცანი მოისმა. გაღმა-
გამოლმა მთებმა თოფის ხმას კვნესით ბანი მასცეს. თოფის ქუჩილი
მთა-კლდეთ საკუთარი შეიქნა და ცოტა ხნის შემდეგ შორს, შორს
ჩაბნელებულმა არავის ხეობამ როდის—სად მოსცა პასუხი და ხეი-

*) မრთას თოვლება ფული. კრთი မრთა — კრთი თუმანია.



ეილით ხელმეორეთ შემოიარა ისევ მთებისა და ხეების კულები და სადღაული მთებს იქით გადაიკარგა.

„ତରଫଳେ କମା ହୋଇଥିଲା

კაუკაცია იამებარა!“

ტყუილათ არ უთქვამ ფშავლებს.

ჯიხვებსაც იამათ?!

საწყლებს ცის დაქცევა და აჩწიებისმაღლის
ჩამონგრევა ერჩივნათ ამ ხმის გაგონებას! გაქცევა ელარ მთახერხეს
და ერთ წამის ლოსი მიხლილი, დასაგრული, თავ-ზარდაცემულინი
გაშეშებულები იდგენ. აღარ იცოდენ რა ეჭნათ, საით გაქცეულიყ-
ვენ. მაგრამ მალე ისევ გონს მოეიდგნ, ამოდენა ფარა დაიძრა და
მოედო კლდებს აღმა და დაღმა. ისმოდა ქეიშის ხრიალი და ქვე-
ბის ჩახა ჩუხი. რომელმაც საითაც მოასწრო, იქით გაიქცა. დედა-
შვილები-კი ერთმანერთს არა შორიდებოდენ. ან შევილი მისდევლა
დედას, ან გულ-გახეთქილი დედა — შეიღსა. შიშის ხარ-ჯიხეის დარ-
დი ჰქონდა. სხევები საღაც უნდა წასულიყვენ. ჯიხეს წინა უქები
ჰქონდა მაღლა შედგმული, ჩოტა თოვეთ გაეარდა. დატორტმანდა,
უნდა უკანევ გაღმოვარდნილიყო, მაგრამ თავი შაიმაგრა და ისე გა-
შეშდა. შიშიამ შაატყო, რომ ჯიხეი დაიკრა. სანამ ეს თოვეს ხელ-
მეორეთ გასტრენდა, ჯიხეი კლდეზე აეიდა და მარდათ გაუსვა მაღლა
ურიალოებისკენ. სხვა ჯიხეები აღარსაღ სჩანდენ, იმან-კი აჩწიების-
მაღლის საფრებს მიჰმართა. ტყეია ელარ მიუწვდებოდა და სანამ
შიშია ხეეს გახდებოდა, ის თავს უშეელიდა. აბა თაეს-ლა დაანქებდა
შიშია ჯიხესა? ჯიხეს სისხლი თქრიალით გასდიოდა. ეტყობოდა
მუცელში ჰქონდა ტყეია მორტყმული და ფაშესა და ტყაეს შუა
იყო გაელილი. მრავლად განადენი სისხლი იმედს აძლევდა შიშიას,
რომ ჯიხეს მალე მოჰქილდა მუხლს და ხელიდან ველარ წაუეიდო-
და. ტყაესა და რქებსაც ძლიერ წაეილებო, ფიქრობდა შიშია. თუ
ცოტა რამე სამწეადეც გაეატანე, კარგი იქნებაო.

მთელი ჯიხეის წალება-კი აზრადაც არ იყო მოსახლეობი, გინდა მარტო ჩბილი ხორცი გამოეჭრა და ძელები იქ დაეყარა. წარ-

მოიდგინა შიშიამ, რა გაკერძოებით დაუწყებდენ ხეესურთ ვაჭები და ქალები ჯიხვის რქებს სინჯვას.

„აბერძენ, შიშიავ, შენს მეტიც ამას ვერავინ შაჰკლევდა, გულა-ნისჯერის მაღლმა!“

ტყავისა ხომ საკუთრათ ერთი ტყავი გამოუვიდოდა, მხოლოდ
სახელმებს მოუნდებოდა თხის ტყავის მოკერება. გაჲყა შიშია მგე-
ლიერით სისხლის კვალს. თუმცა სისხლი ისე აღარ გასდოდა, მაგრამ
კიდევ აღაგ-აღაგ ცერები სცეიოდა და ზოგანაც, სადაც კლდეზე
ახოხებულიყო, სისხლიანი ბეწვისაგან ქვები იყო მოსერილი. ჯიხე-
ზე კარგათ ეის ეცოდინებოდა არწიეისმაღალზე ასასელელი გზა.
აღბათ წინათაც ბევრჯელ შახიზნულა რქიანი ფაცი იქა და ახლაც
დაჭრილი იქით მიიბრძეოდა. იქ დაწვებოდა მოსერენებით, ვერც კაცი
შააწუხებდა, ვერც ნადირი და ვერც ბუზი, სანამ ნატყევიარი მოუწ-
ჩებოდა.

სჯეროდა, რომ იქ ადვილათ ვერაცინ აუიღოდა და არც არაცინ გაიწირავდა თავს იქ ასელისათვეს. მაგრამ შიშია იმისთანა ბიჭი არ იყო, რომ უკან დაეწია.

სად ქუჩის ეტიდებოდა, სად ქვებს და კენჭებს ებლაუჭებოდა, ოლონიდ ხელის მოსაკიდებელი ყოფილიყო. ბევრჯელ ცალი ხელით დაეყიდებოდა ხოლმე, სანამ ფეხს ჩამოტკიცებული გადასახდა. მიცოცავდა მაღლა და ქეშ ჩა უფსკრული გზრდებოდა, იმაზე სულაც არა ფიქ-რობდა. ძირს არ იხედებოდა და არც დარღი ჰქონდა. წინ დაჭრილი ხარ-ჯიხეი ეგულებოდა და განა ახლა უკან დაბრუნებაზე იფიქრებ-დე?! ხელის ბრჩებილები სულ გადააცვითეს ქვებმა და მუხლის თა-ვები გადაეცელიფა. ბევრჯელ თვალითაც დაინახა ჯიხეი, მაგრამ თო-ფის სროლა არ შეიძლებოდა, ხელებს უერ გაუშეებდა კლდიდან. რო ჩაგრძინილიყო, სულით და ხორცით დაიკარგებოდა სამუდამოთ.

